საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030187868734120

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/2007 **18 / თებერვალი / 2020 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე ხვთისიაშვილს

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორს,
ბატონ ლევან კარანაძეს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და
სრულუფლებიან ელჩს საქართველოში,
ქალბატონ ლი იანს
მის: ქ. თბილისი, ვ.ბარნოვის ქ.N52.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში სამინისტრო) სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ წარმოადგინა “Myway Airlines CoLTD”-ის ინფორმაცია (MWA-2020-ADM-008), რომელიც ეხება მიმდინარე წლის 20-21 თებერვალს საქართველოდან ჩინეთში პირბადეების გადაზიდვის მიზნით დაგეგმილ ჩარტერულ რეისს თბილისი-ურუმჩი-თბილისი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის No164 განკარგულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის "გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის პირდაპირი საერთაშორისო ფრენების შესრულება დროებით შეწყვეტილია ზამთრის სანავიგაციო სეზონის ბოლომდე (2020 წლის 29 მარტი). ამავე პუნქტის თანახმად და გამომდინარე იქიდან, რომ პირბადეების გადაზიდვის მიზნით კონკრეტული რეისის შესრულება არ უკავშირდება ეპიდემიოლოგიურ რისკებს, სამინისტრო დასაშვებად მიიჩნევს მის განხორციელებას.

ამასთან, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს და ასევე, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით გახდა ცნობილი, ამავე რეისით განხორციელდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ჩამოყვანა სამშობლოში.

საქართველოს მოქალაქეების ტრანსპორტირების პროცესში ზუსტად უნდა იქნას დაცული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები ინფექციის კონტროლის მიზნებისთვის, კერძოდ:

1. მგზავრებთან ახლო კონტაქტში მყოფმა ეკიპაჟის წევრებმა უნდა გამოიყენონ სამედიცინო ნიღაბი (შეცვლა ყოველ 2 საათში ერთხელ) და ერთჯერადი ხელთათმანები;

2. თუ მგზავრს აღენიშნება რესპირაციული სიმპტომები, მან უნდა გამოიყენოს სამედიცინო ნიღაბი;

3. მგზავრები უნდა განთავსდნენ ერთმანეთისგან დაშორებით;

4. თვითმფრინავის ბორტზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელის დასამუშავებელი სპირტისშემცველი ხსნარი მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრებისთვის;

5. ჩამოსვლის შემდეგ მგზავრებმაც და ეკიპაჟის წევრებმაც უნდა გაიარონ სკრინინგის სტანდარტული პროცედურები;

6. მგზავრებს ჩამოსვლის შემდგომ მიეცემათ 14 დღიანი თვით იზოლაციისა (სავალდებულო) და თვითმონიტორინგის მითითებები.

ამასთან, სხვა, განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობის შემთხვევაში, გეცნობებათ

დამატებით.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე